

თირეოტროპული ჰორმონი - TSH

TSH წარმოადგენს ჰორმონს, რომელიც მონაწილეობს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის რეგულაციაში. TSH გამოიყოფა ჰიპოფიზიდან, რის შემდეგაც მოქმედებს ფარისებრი ჯირკვალზე და ასტიმულირებს სისხლში T3-ისა და T4-ის გადატყორცნას. TSH-ის გამომუშავებას ასტიმულირებს თირეოიდ-რილიზინგ ჰორმონი (TRH), რომელიც გამოიყოფა ჰიპოთალამუსიდან.

რატომ კეთდება TSH-ის ტესტი?

TSH ტესტი ინიშნება მაშინ, როდესაც პაციენტს კლინიკურად ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია აღენიშნება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ჯირკვლის ფუნქციის მომატებით (ჰიპერთირეოიდიზმი), ასევე დაკლებით (ჰიპოთირეოიდიზმი).

ჰიპოთირეოიდიზმის კლინიკური გამოვლინებებია:

- კონსტიპაცია
- ლეტარგია
- სიცივის აუტანლობა
- ბრადიკარდია
- კუნთების კრამპი
- მენორაგია
- უმადობა
- წონაში მომატება
- შენელებული რეფლექსები
- კანის და თმების სიმშრალე

ჰიპერთირეოიდიზმის კლინიკური გამოვლინებებია:

- ემოციური ლაბილობა
- ოფლიანობა
- მადის მომატების მიუხედავად წონაში კლება
- სიცხის აუტანლობა
- კანკალი
- ტაქიკარდია
- დიარეა
- უძილობა

TSH ტესტი ასევე გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის მკურნალობის მონიტორინგისთვის.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. თუმცა ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე. ამიტომ მათი მიღება სასურველია შეწყდეს სისხლის აღებამდე. მიუხედავად ამისა, ექიმთან შეთანხმების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყდეს მედიკამენტების მიღება.

მედიკამენტები რომლებიც ცვლიან TSH რაოდენობას სისხლში:

- ამიოდარონი
- დოფამინი
- ლითიუმი
- პრედნიზოლონი

ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული TSH?

ნორმაში TSH მერყეობს 0.4-4,0 mIU/L ფარგლებში.

მომატებული TSH მიუთითებს ჰიპოთირეოიდიზმზე. TSH მატულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- ჰაშიმოტო
- თირეოიდიტი
- იოდის ნაკლებობა

რას ნიშნავს დაბალი TSH?

დაბალი TSH მიუთითებს ჰიპერთირეოიდიზმზე. TSH კლებულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- გრეივისის სინდრომი
- ტოქსიური ადენომა
- პლუმერის სინდრომი

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

თირეოტროპინი

საჭირო ინფორმაცია

TSH-ის ანალიზთან ერთად ინიშნება T3 და T4 ტესტები. როდესაც პაციენტს არ აქვს ჰიპოთირეოიდიზმისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, მაგრამ TSH 3,5 mIU/Lზე მეტია, საჭიროა ექიმის მეთვალყურეობა (ამ მდგომარეობას ეწოდება სუბკლინიკური ჰიპოთირეოიდიზმი).